ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №2165160

ნომერი: AR1336708

თარიღი : 21.08.2015

გაცემის თარიღი : 31.08.2015

გაცნობის თარიღი : 01.09.2015

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , მასივი III , დასახლება აეროდრომი , ქუჩა 13 , N 10 ;

დამკვეთი-განმცხადებელი
- ჯონი შალამბერიძე პ/ნ 62001012361
- სოხუმი ძერჟინსკის ქ. N 27

ორგანიზაცია:
- პენსილვანიის (აშშ) საგუშაგო კოშკის, ბიბლიისა და ტრაქტატების საზოგადოების ფილიალი საქართველოში

კოდი: 206093494

ნომენკლატურა :

- I კლასი
- 4 მ-მდე სიმაღლის მქონე ღობე
  ახალი მშენებლობა

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 83-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, "ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების

წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის #4-13 გადაწყვეტილების თანახმად

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურში ხელახლა იქნა განხილული თქვენ მიერ ელექტრონულად ატვირთული დოკუმენტაცია, რასთან დაკავშირებითაც გაცნობებთ, რომ 2015 წლის 31 აგვისტოს ჩატარებული მარტივი ადმინისტრაციული წარმოების ზეპირი მოსმენის სხდომაზე (იხ.დანართი N331 ოქმი) მოქ. ჯონი შალამბერიძის წარმომადგენლების – მოქ. შალვა კაციაშვილისა და მოქ. შალვა კაციაშვილის მიერ წარმოდგენილ იქნა მიწის ნაკვეთის განახლებული ამონაწერი საჯარო რეესტრიდან და საკადასტრო გეგმა, საიდანაც ირკვევა, რომ განხორციელდა საპროექტო მიწის ნაკვეთის მომიჯნავე მიწის ნაკვეთთან გაერთიანება და შესაბამისად საკადასტრო საზღვრების ცვლილება. აქედან გამომდინარე საჭიროა ისარგებლოთ რუკის ცვლილების ღილაკით და „განსაზღვრეთ განაცხადის მდებარეობა რუკაზე“–ს ველში მიუთითოთ მიწის ნაკვეთის საკადასტრო კოდი შეცვლილი მონაცემებით. ასევე საჭიროა შესაბამისად დააკორექტიროთ „ფოტომონტაჟი“–ს ველში ატვირთული საკადასტრო გეგმა საპროექტო ღობის დატანით და აღნიშნულის ნაცვლად წარმოადგინოთ მიწის ნაკვეთის განახლებული საკადასტრო გეგმა, საპროექტო ელემენტების და დეტალურად გაბარიტული ზომების (მათ შორის საკადასტრო საზღვრებამდე მანძილების) მითითებით. გაითვალისწინეთ, რომ დაცულ უნდა იქნეს ტერიტორიაზე არსებული სატრანსპორტო ზონა 1–სა და საცხოვრებელ ზონა 3–ს შორის ფუნქციური საზღვარი, და საპროექტო ღობე განთავსდეს მხოლოდ საცხოვრებელი ზონა 3–ის არეალში (იხ. დანართი 2)

გაცნობებთ, რომ ხარვეზების გამოსწორებისთვის გეძლევათ 15 სამუშაო დღე. მოცემულ ვადაში ხარვეზების შეუსრულებლობის შემთხვევაში განცხადება დარჩება განუხილველი.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.